თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 14

02 ოქტომბერი 2020 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 19 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ნანა ხვისტანი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**დავით გოგოშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**ლევან ლილუაშვილი;**
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე	**მაია მარკოზაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე	**ტიტე დარეჯანიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე	**ალექსანდრე კუპატაძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე	**გიორგი ჩაბრაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ მუსაევი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარის მოადგილე **ბაადური რევაზიშვილი;**

საკრებულოს წევრები: ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამი წულუკიძე, ნიკოლოზ მაისურაძე (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **დავით ბეგიაშვილი;**
მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **სოფიო ოხანაშვილი;**
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: **ნიკა სახიაშვილი, მთვარისა სოლომნიშვილი.**

თავმჯდომარემ ისაუბრა რიგგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზის შესახებ და საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს. დ.ბეგიაშვილი
11.00სთ-დან - 11.10სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის მერისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს. დ.ბეგიაშვილი
11.00სთ-დან - 11.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.ჩაბრაშვილმა,**
ა.ძულიაშვილმა დასვა კითხვა სასესხო ვალდებულების დასაფარათ საჭირო თანხების თაობაზე, მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა დაიქირავოს კომპანია, რომელიც უზრუნველყოფდა

სატრანსპორტო მომსახურებას მოსახლეობისათვის და საჭირო აღარ იქნებოდა ამ რაოდენობის სესხის აღება.

დ.ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი მომსახურებით მიდის სხვა მუნიციპალიტეტებიც, რადგან ამ ეტაპზე საქართველოში არ არსებობს ისეთი მსხვილი სატრანსპორტო კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

ბ.რევაზიშვილმა კი დასვა კითხვა იმის თობაზე, თუ როდის დაიწყებს მუშაობას მუნიციპალური ტრანსპორტი, რაზეც დ.ბეგიაშვილმა განმარტა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა განისაზღვროს საჭირო თანხები.

დ.ღაღანიძემ აღნიშნა,რომ დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აუცილებელია მუნიციპალური ტრანსპორტი, რაც ყოველთვის აღინიშნება მოსახლეობასთან შეხვედრების დროს.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 16 (თექვსმეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 03 (სამი) წევრმა - **ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ, ა.ძულიაშვილმა.**

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**